



15/01/2026



MES 4 26 0000026896

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების"
რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამის
აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27²-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵- ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც

„ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27⁵ - ე მუხლის მე-7¹ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 ოქტომბრის №1300436 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან საბაკალავრო და "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და 1.2 და 1.3 კომპონენტში არსებული 2 რეკომენდაცია ამოიღო, რამაც გამოიწვია კომპონენტების შეფასების ცვლილება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შეფასდა, როგორც "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

1.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გააუქმა -

რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, რათა მათში გამოყენებული ზმნები იყოს თანმიმდევრული და გაზომვადი ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად. ეს გახდის შედეგებს უფრო ნათელს და უზრუნველყოფს კოგნიტურ დონეებთან შესაბამისობას.

1.3 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გააუქმა -

პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამის უწყვეტი შეფასება, უზრუნველყოთ სწავლის შედეგებთან შესაბამისობა და გააძლიეროთ საერთო აკადემიური ხარისხი.

შედეგად, 1.2 და 1.3 კომპონენტები ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც, "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". ამ ცვლილებებმა არ გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ემუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 25 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი საბაკალავრო და "ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების" რუსულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 15 იანვრის სხდომის №26849 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

კლასტერული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დარეგულირდეს გამჭვირვალე და განსაზღვრული პროცედურებით და სისტემურად აღირიცხოს. რეგულარული შეფასებების განხორციელება კი უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას.
- რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში აისახოს პროფესიული უნარები, რათა სტუდენტებმა ტექნიკურ ცოდნასთან ერთად განავითარონ კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და ეთიკური ქცევის კომპეტენციები.
- პროგრამის სწავლის შედეგებში პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია სწავლების პროცესში გაიზარდოს თანამედროვე მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, მათ შორის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების ეტაპზე.
- რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვის სქემა ასახავდეს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის სრულ სამუშაო დატვირთვას, მათ შორის — აკადემიური პერსონალისთვის განსაზღვრულ სამეცნიერო დატვირთვასაც, და რომ გასწორდეს არსებული შეუსაბამობები.
- ასევე, რეკომენდებულია, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის საფუძველზე, გააანალიზოს სამეცნიერო პუბლიკაციებთან დაკავშირებული ინდიკატორები და დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები, რაც გააუმჯობესებს აკადემიური პერსონალის კვლევით პროდუქტიულობას და შესაბამისად, გაზრდის პერსონალის საერთაშორისო ცნობადობას.

ინდივიდუალური რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გამდიდრდეს სამაგისტრო პროგრამა თანამედროვე კომპონენტების ჩართვით, როგორცაა მაგ. მონაცემთა ანალიტიკა, რაც ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციას და უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას საერთაშორისო პრაქტიკასთან, ახალ ტექნოლოგიებსა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებთან.

- რეკომენდებულია, პროგრამაში ინტეგრირდეს ინდუსტრიის სტანდარტების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რათა სტუდენტებს განუვითარდეთ მაღალი დონის კომპეტენციები ისეთ მიმართულებებში, როგორცაა რეზერვუარის სიმულაცია, წარმოების ოპტიმიზაცია, მონაცემთა ანალიტიკა და გადაწყვეტილების მიღება რთული საინჟინრო სისტემების შემთხვევაში.
- რეკომენდებულია, შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში განისაზღვროს ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანაფარდობა, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესისა და კვლევითი შედეგების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 დეკემბრიდან.

6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 25 დეკემბერი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	15.02.2022, N 152108
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის მაგისტრი Master of Oil and Gas/Petroleum Technology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამთო საქმე და მოპოვება - 0724
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, სტუ-ს სასწავლო კორპუსი N 3; 0160, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25.12.2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად ვადა 25.12.2026
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	25.12.2032